სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 75

ქ. თბილისი

თბილისი, მაისი 2022 წელი

ერთი მხრივ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ნინო თოფურიძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ "თაიგულ ბოლქვაძე" შემდგომში ("მიმწოდებელი"), მისი დირექტორის თაიგულ ბოლქვაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 3-ე მუხლის პირველი პუნქტის "ს!" ქვეპუნქტისა "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 გრძანების მე - 2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ადმინისტრატორის გია კვარაცხელიას 18.04.2022 წლის მ/ბ N N15/02-500-ის თანახმად, იზოლირებული მავთული და კაბელი CPV - 31300000 (100 ლარი 00 თეთრი); გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები CPV – 31500000 (2765 ლარი 00 თეთრი); სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები CPV – 44100000 (65 ლარი 00 თეთრი); „სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან და კავშირებული საგნები" CPV – 44400000 (100. ლარი00 თეთრი. შესყიდვა შემდეგი ოდენობით:

კერძოდ:

	დასახელება	ზ/ე	რაოდ	ფასი	სულ	CPV
1	საიზოლაციო ლენტა	ც	5	4.00	20.00	44111530
2	ელექტრო სადენი 2*0,75	მეტრი	100	1.00	100.00	31321200
3	დუპელი / ლურსმანი 6-იანი	შეკვ.	1	15.00	15.00	44192200
4	დუპელი / ლურსმანი 8-იანი	შეკვ.	2	15.00	30.00	44192200
5	ნათურა 20 ვატ	ც	100	8.00	800.00	31532100
6	24 ვატიანი ბრის ელ ნათურა	ც	40	15.00	600.00	31524120
7	T8 60CM/9W ნათურა	ც	100	6.00	600.00	31532100
8	ეზოს კრანი	ც	5	20.00	100.00	44411100
9	XLRPL-6500 მნათი მოწყ. გარე	ც	15	35.00	525.00	31532200
10	ნათურა ვარვარა 60 ვატ	ც	200	1.20	240.0	31519100
					3030.00	

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს: 3030 (სამი ათას ოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ამავე უნივერსიტეტის 2022 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახსრების ფარგლებში.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნინო თოფურიძე და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ადმინისტრატორი გია კვარაცხელია.

4.4. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ნებისმიერ დღეს, ოღონდ არაუგვიანეს 2022 წლის 10 მაისისა;

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

6.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

- უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ადმინისტრატორი გია კვარაცხელია.

7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

9.2. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

"შემსყიდველი"

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61
ს/კ 205224700
მიმღების ბანკი _ სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი _TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _7 0904 9921
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ნინო თოფურიძე

LEPL Sokhumi State University

Digitally signed by LEPL Sokhumi State University
Date: 2022.05.05 11:26:05 +04'00'

"მიმწოდებელი"

ი/მ „თაიგულ ბოლქვაძე"
თბილისი, კოსმონავტების სან.25 სანტექ.უბნ.N213-214
ს/კ 61002021106
ს. ს. "თიბისი ბანკი" ც/ფ
ბ/კ TBCBGE22
ანგ.№ GE85TB7806345064300002
დირექტორი
თაიგულ ბოლქვაძე